# სერბეთის პატრიარქის პორფირის მისასალმებელი სიტყვა კიევის რუსეთის გაქრისტიანების 1033-ე წლისთავთან დაკავშირებით

*2021 წლის 28 ივლისს, კიევ-პეჩერის წმინდა მიძინების ტაძარში საღვთო ლიტურგიის აღსრულების შემდეგ, სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ტოპლიჩის ეპისკოპოსმა იეროთეოსმა, სერბეთის პატრიარქის პორფირის მისასალმებელი სიტყვა გააჟღერა კიევისა და სრულიად უკარაინის უნეტარესი მიტროპოლიტი ონოფრესადმი კიევის რუსეთის გაქრისტიანების 1033-ე წლისთავთან დაკავშირებით.*

**მის უნეტარესობას**

**კიევისა და სრულიად უკრაინის მიტროპოლიტ ონოფრეს**

თქვენო უნეტარესობავ, ჩვენო ძვირფასო ქრისტესმიერო ძმაო და თანამსახურო!

უნეტარესო ძმაო ონოფრე და ძმებო-მწყემსმთავრებო, მღვდლებო, მონაზვნებო, იღუმენიებო დებთან ერთად, ძმებო და დებო, კიეველებო, ერთგულო უკრაინელო ხალხო, მართლმადიდებელი სარწმუნოების სიწმინდის მტკიცედ და შეუბღალავად დამცველნო, უფლისა და მაცხოვრის ჩვენი იესო ქრისტეს დაუნაწევრებელი კვართის შემნახველნო! ყველა თქვენგანს ვულოცავ დიდებულ დღესასწაულს – რუსეთის გაქრისტიანებისა და თქვენი განმანათლების, წმინდა კეთილმსახური და მოციქულთა სწორი მთავრის ვლადიმერის ხსენების დღეს.

თქვენი პიროვნება და მტკიცე მართვა უკრაინის ეკლესიის ხომალდისა ამ ძალიან რთულ დროს, ძვირფასო ძმაო ქრისტეში, იქცა სიმბოლოდ მართლმადიდებელი ეკლესიის ერთობის ერთგულებისა და განსაცდელების მხნე წინააღმდეგობისა. არჩევანი, რომელიც თქვენ გააკეთეთ, გაჰყევით რა თქვენი დიდებული წინამორბედის მიტროპოლიტი ვლადიმერის გზას, შევადაროთ წმინდა მთავრის ვლადიმერის არჩევანს, რომელმაც აირჩია მართლმადიდებლობა, წინასწარ გაეცნო რა იმ დროის ყველა რელიგიურ აღმსარებლობას. დარჩით რა ერთგული მართლმადიდებელი ეკლესიის კანონიკური წესრიგისა და ერთობისა, თქვენ წმინდა მთავრის ვლადიმერის არჩევანი გაიმეორეთ. ამ სახით, თქვენ თქვენს ეპისკოპოსებთან, მღვდლებთან, მონაზვნებთან და ხალხთან ერთად იქეცით ნიმუშად, რომელიც ცნობილია ჩვენშიც – ღვთის ერთგულ სერბ ხალხში.

თქვენ, თქვენო უნეტარესობავ, დაამოწმეთ თქვენი ძმური სიყვარული სერბეთის მართლამადიდებელი ეკლესიის იმ მხარეში ჩასვლით, რომელიც ძველებურად ეჯახება მსგავს დაბრკოლებებს – ჩერნოგორიაში. იქ თქვენ აწ განსვენებულ მიტროპოლიტ ამფილოქესთან ერთად ლოცულობდით ეკლესიის ერთობისთვის და სათავეში ჩაუდექით ჯვრით მსვლელობას, რომელმაც აჩვენა, რომ ჩვენც, მართლმადიდებელი სერბები, ისევე როგორც უკრაინელი ხალხი, ცნობილი ვიქნებით მსოფლიოსთვის ქრისტესადმი ერთგულების წყალობით და საცდურების წინააღმდეგ ბრძოლით, რომელსაც ამა სოფლის მთავარი აყენებს ჩვენ წინაშე.

ამ დიდებული დღესასწაულის დღეს, მე მინდა თქვენდამი გამოვხატო ჩემი დიდი მადლიერება დამხარებისთვის და სიყვარულისთვის. წმინდა მთავრის ვლადიმერისა და წმინდა საბა სერბის წყალობითა და ლოცვით წმინდა მართლმადიდებელი ეკლესია სერბეთში, უკრაინაში და ყველგან, სადაც წმინდა გარდამოცემისა და კანონიკური წესრიგის ერთგულებაა შენარჩუნებული, იქნება დიდებული გამარჯვებული ამა სოფლის ძალებზე.

თქვენო უნეტარესობავ, კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ დღესასწაულს, აღვავლენთ ლოცვებს ღვთისადმი თქვენთვის ძალის გარდამოსავლენად თქვენი ეკლესიისა და ხალხის შემდგომი მსახურებისთვის.

**პეჩის მთავარეპისკოპოსი,**

**ბელგრად-კარლოვაცკის მიტროპოლიტი,**

**სერბეთის პატრიარქი**

**პორფირი**

---

წყარო: https://mospat.ru/ge/news/87813/